



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 359

თბილისი

„ 05 “ 05 2016 წ

„2016-2017 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 22 მარტის N249 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2016 წლის 5 მაისის N482087 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2016-2017 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 22 მარტის N249 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^ა პუნქტი:

„1^ა. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადად დადგინდეს 2016 წლის 6 მაისი.“

ბ) დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თამარ სანიკიძე

